საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№824 2016 წლის 16 მაისი ქ. თბილისი

2016 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცხადებული ტენდერების შედეგად 2016 წლის იანვარ-მარტში წარმოქმნილი ეკონომია შეადგენს 27 471 603 (ოცდაშვიდი მილიონ ოთხას სამოცდათერთმეტი ათას ექვსას სამი) ლარს (დანართი №1).

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, გამოცხადებული ტენდერების შედეგად 2016 წლის იანვარ-მარტში წარმოქმნილი ეკონომიის ნაწილი 18 000 000 (თვრამეტი მილიონი) ლარის ოდენობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში, ამ განკარგულების №2 დანართის შესაბამისად.

3. უფლება მიეცეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ამ განკარგულების №2 დანართით განსაზღვრული თანხის გარდა, გამოცხადებული ტენდერების შედეგად 2016 წლის იანვარ-მარტში წარმოქმნილი ეკონომია მიმართოს ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ განკარგულების №1 დანართში მითითებული ეკონომიის მიმართვის მიზნობრიობა შეათანხმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

5. უფლება მიეცეთ საქართველოს სამინისტროებს, გარდა ამ განკარგულების მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული სამინისტროებისა, №2 დანართში მითითებული თანხების გამოკლებით, გამოცხადებული ტენდერების შედეგად 2016 წლის იანვარ-მარტში წარმოქმნილი ეკონომია მიმართონ მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის

2016 წლის 16 მაისის

№224 განკარგულების

დანართი N1

ლარებში

დასახელება	წარმოქმნილი ეკონომია
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	274,505.6
საქრთველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	202,919.3
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	8,893,274.9
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	266,178.0
მ.შ. საქართველოს პროკურატურა	*61,349.9*
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	1,046,197.5
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	16,971.0
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,064,936.3
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	4,322,547.5
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	7,014,633.7
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	487,112.5
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	282,852.8
საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,828,938.8
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	210.0
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	628,619.0
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	86,249.7
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	55,456.2
სულ	**27,471,602.9**

საქართველოს მთავრობის

2016 წლის 16 მაისის

№824 განკარგულების

დანართი N2

ლარებში

დასახელება	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში მისამართი თანხა
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	270,000.0
საქრთველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	200,000.0
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2,500,000.0
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	200,000.0
მ.შ. საქართველოს პროკურატურა	*0.0*
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	1,000,000.0
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,000,000.0
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	4,310,000.0
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	7,000,000.0
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	485,000.0
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	280,000.0
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	625,000.0
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	80,000.0
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	50,000.0
სულ	**18,000,000.0**